ცნობის ფურცელი

№ 1759 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ხუთშაბათი, 21 მარტი № 1759

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

მღვდელნი სიმონ და ავქსენტი სახოკიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 30 მარტს, ს. შხეფში (სენაკის მაზრა) გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

სტუდენტის სამსონ სახოკიასი. (3—1)

მზადდება პიესების კრებული

„ცხოვრების სარკე“

მე-III წიგნი, რომელშიაც დაიბეჭდება 7—10 (შვიდიდან ათამდის) ჯერ დაუბეჭდავი ახალი პიესა: ავაზაკები (ყაჩაღები), ტრაგედია 5 მოქ. შილლერისა, დრამები, კომედიები, ვოდევილები, სცენები, ლექსები, წერილები თეატრის შესახებ, სურათები მსახიობ-მოღვაწეთა და სხვათა შორის, ვლ. მესხიშვილისა (სხვა-და-სხვა როლებში).

რადგანაც ამ გამოცემას დიდი ხარჯი უნდება, ამიტომ საზოგადოებას ვსთხოვთ ხელი მოგვიმართოს წიგნის დაკვეთაში, ე. ი. თვითო წიგნი წინდაწინვე დაიკვეთოს **ერთ მანეთად**, შემდეგ **მეტი ეღირება.**

ფული შეიძლება ფოსტითაც გამოიგზავნოს ხელის-მომწერლის სრულის ადრესით. წიგნი გამოსვლის უმალ გაეგზავნება ხელის-მომწერთ. გასაგზავნ ხარჯსაც ჩვენ ვიხდით. ჩვენი ადრესი: Тифлисъ, книжная торговля, Іосифу Зах. Имедашвили. (5—1)

ბათუმში

ამა მარტის 10-დან გაიხსნა პირველ ხარისხოვანი საუკეთესო

სასტუმრო „ორიენტალ“,

რომელიც მოთავსებულია საგანგებოდ აშენებულ სახლში ნავთსადგურის პირდაპირ, ზღვის პირად. სასტუმრო მშვენიერად მოწყობილ-მორთულია; განათება ელექტრონული; ზღვის აბანო; საუკეთესო მზარეული; მოსამსახურენი—თავაზიანი და მარჯვე. **ფასები იაფი** ყველაფერზე. ტელეფონი № 141.

(ნ 15—1) სასტუმროს პატრონი **ე. ბერძენიშვილი**

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ა. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ი. ბ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. პ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. ზულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12 | 1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ქირურგიის ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი** № 274. (წლ.)

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24 **ტელეფონი** № 642.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის წარმომადგენელი აცხადებს ამხანაგობის წევრთა საყურადღებოთ, რომ ტფილისში კვირას, 31 მარტს 1902 წ., დილის 10 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლში) დანიშნულია წევრთა

საზოგადო წლიური კრება.

ვინიცობაა დანიშნულ დღეს წევრთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა და კრება არ შესდგა, კრება გადაიდება შემდეგი კვირისათვის, 7 აპრილს, და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება ამხანაგობის 1-ლ წლის მოქმედების ანგარიშისა.
2) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1902 წლისათვის.
3) ამხანაგობის წესდების გადასინჯვა—შეცვლა და დამატება ზოგიერთ §§-სა.
4) ამხანაგობის ძირის თანხის გაძრიელება და საზოგადოთ მოსაზრება საქმის უკეთესად წარმოებისათვის.
5) მოსაზრება იმაზე, თუ რამდენად მოსახერხებელი იქმნება ამხანაგობის სააქციონერო საზოგადოებად გარდაქმნა.
6) არჩევანი გამგეობის ორი წევრისა და მათი ნაცვლების, საბჭოს ხუთი წევრისა და მათი ნაცვლების. (ნ. 3—1)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ.

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—19)

სახაზინო გლეხთა მდგომარეობის გამო.*)

ჩვენებური სახაზინო გლეხი მოსარგებლეა სახაზინო მიწითა, თუ მოსაკუთრე? წინა წერილებში ჩვენ ვამბობდით, სახაზინო გლეხი მიწით მოსარგებლეა. ჩვენს აზრს 1 მაისის 1891 წლის ახალ კანონის შინაარსზე ვამყარებდით. ბ. ტფილისელსაც ეს ახალი კანონი აქვს ხელში, ხოლო გვიმტკიცებს, ჩვენი გლეხი, ამ კანონის ძალით, არც მოსარგებლეა, არც მოსაკუთრე, იგი **მონაკუთვნეაო.** როგორ მოხდა ეს, რომ ჩვენ ორთავეს რუსული გვესმის და ერთი და იგივე კანონი კი სხვა-და-სხვანაირად გაგვიგია? ბ. ტფილისელის აზრით, „დიად კანონსა (ასე უწოდებს ამ ახალ კანონს) გულმოდგინე შესწავლა სჭირიაო“. მე, რასაკვირველია, საჭირო გულმოდგინეობა ვერ გამომიჩენია, ბ. ტფილისელს კი, ამ ახალ-ახალ „დიადი“ კანონების მცოდნე მონოპოლისტს, ამ კანონის დაფარული დედა-აზრიც კი შეუგნია და შეუსისხლხორცებია.

და აი მისტიკურის თვით-შეგნებით მიხვედრილა, რომ ჩვენი სახაზინო გლეხი მიწის მოსაკუთვნეა? რა არის მიწის მოსაკუთვნე? იკითხავს ცნობის-მოყვარე მკითხველი. მოსარგებლე? არა. მოსაკუთრე? არა. მაშ რაღა არის? განსაზღვრული საგანი **ან** მეკუთვნის (ე. ი. ჩემი საკუთრებაა) **ან** არ მეკუთვნის (საკუთრება არ არის). როდესაც განსაზღვრული საგანი—მამულია იგი თუ ცხენი—მე არ მეკუთვნის, ამ შემთხვევაში, პატრონის ნება-დართვით, შეიძლება ამ საგნით დროებით ვისარგებლო. მაშინ მე უბრალო მოსარგებლე ვარ ხსენებული ნივთისა (სარგებლობის ვადა აქ არაფერ შუაშია, შეიძლება იგი ხანგრძლივიც იყოს და მოკლეც). მაშ მოსაკუთვნე ან მოსარგებლე უნდა იყოს, ან მოსაკუთრე. არა, მოსაკუთვნე—მოსაკუთვნეაო. მოსაკუთვნე რაღაც ორსახიანი მცნებაა. იგი თითქმის მოსარგებლეა, მეორეს მხრივ, მოსაკუთრესაც მიაგავსო. ერთის სიტყვით, რაღაც უცნაური რამ არის, ქალაბიჭასავით, ორ-მნიშვნელოვანი. მკითხველი ამიდან, რასაკვირველია, ვერაფერს ვერ გაიგებს. უნდა გავტყდეთ, მაინცა და მაინც არც ჩვენ გვესმის ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა. ამისათვის, ჩვენ ისევ ნაცნობ სიტყვას ვუბრუნდებით და ვამბობთ, რომ, კანონის ძალით, სახაზინო გლეხი მიწის **მოსარგებლეა** და სხვა არაფერი. აი ამისი საბუთიც.

როგორც წინა წერილებშიაც აღვნიშნეთ, კანონის პირველი მუხლი ნათლად გვეუბნება, რომ გლეხები მიწის მოსარგებლენი არიან და არა რაღაც მოსაკუთვნენი. (Земельные надѣлы отводятся сельскимъ обществамъ... съ сохраненіемъ существующаго порядка пользованія оными). მეოთხე მუხლში ვკითხულობთ: „на владѣніе отведенными надѣлами выдается особый актъ, именуемый отводной записью“. სწორედ ისე, როგორც მოიჯარადრეებს მისცემენ ხოლმე პირობის ბარათს. მეხუთე მუხლი გვეუბნება: „государственные поселяне, *владѣя* предоставленными... землями“ და სხვა. ამ ორ მუხლში სიტყვა „ვლადეია“ არის ნახმარები. ამ სიტყვამ გაუღვიძა ბ. ტფილისელს ფილოლოგიური გამოკვლევის სურვილი და ათქმევინა შემდეგი სიბრძნე: „მიწა საკუთვნო რომ არ ყოფილიყო, კანონში არც სიტყვა მფლობელობა (владѣя) იქმნებოდა მოხსენებულიო“ („ივერია“ № 57). ფარდა აქ აგვეხსნა და გავიგეთ, რომ მოსაკუთვნე მფლობელი ყოფილა. კეთილი. ხოლო მოსაკუთრე ვიღა არის? განა სიტყვა მფლობელი მოსაკუთრეს უფრო არ უხდება? ან იქნება მოსაკუთრე მფლობელი არ არის? ბ. ტფილისელი, თანახმად იურიდულ კაზუისტიკისა და წინააღმდეგ საღი გონების მოთხოვნილებისა, სწორედ ამ აზრისაა და სწორედ ამაში გამოიჩინა ბიუროკრატიული გაწვრთნილობა.

ჩვენის აზრით, სიტყვა „владѣя“, რომელიც კანონშია ნახმარი, ნიშნავს სიტყვას „пользуясь“ და სხვას არაფერს. აი ყური დაუგდეთ, რას გვეუბნება ამ კითხვის შესახებ ბ. გ. თუმანიშვილი: „გლეხებს, ახალი კანონის ძალით, მიეცემათ მიწები... სამუდამო სარგებლობაში, ხოლო ამასთანავე ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად, მთავრობა მიწების მორწყვას მოინდომებს, ამ მიწების ჩამორთმევის უფლება აქვს. ამას გარდა, მიწები შეიძლება ჩამოერთვას გლეხობას იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მთავრობა საზოგადოებისთვის რაიმე სასარგებლო საქმეს იწყებს—ტყის გაშენებას აპირებს, სამეურნეო სკოლას და ფერმებს აარსებს და სხვ. ამის მიხედვით, გლეხი დამშვიდებული არ არის და ხვალინდელ დღის ფიქრშია. მთავრობამ შეიძლება მოსარწყავ არხების გაყვანა მოინდომოს სწორედ იმ პატარა მიწაზედ, რომელიც გლეხს უჭირავს, და ჩამოართმევს კიდევაც ამ მიწას. ყოველი ნადელის ნაგლეჯი შეიძლება დასჭირდეს ხვალ ხაზინას—ან სკოლისთვის, ან ფერმის და ტყის გასაშენებლად—და გლეხს უნდა ჩამოერთვას მიწა, რომელსაც საუკუნოებით დასტრიალებდა და ამუშავებდაო“[1]. ამ განმარტებიდან ნათლად სჩანს, თუ ვინ არის სახაზინო გლეხი. აქ აღნიშნულია ტიპიური თვისებები მიწით მოსარგებლისა. მართალია, კანონის აზრით სახაზინო გლეხი სამუდამო მოსარგებლეა, მაგრამ ნამდვილად კი არც ეს არის მართალი. სამუდამო მოსარგებლე რომ ყოფილიყო, ასე ადვილად ვერავინ ჩამოართმევდა მიწას. როგორ თუ ჩამოართმევდა? ვინ ჩამოართმევს? მრისხანედ მოგიგებთ ჩვენი მოკამათე. აბა გაჰბედეთ... მაშინ გლეხკაცობა დაგიმტკიცებთ და არა ტფილისელი, ვისი საკუთვნოა ეს მიწაო. კაცს ძალიან უნდა გაუკვირდეს, რომ ამისთანა სიბრძნე საჯაროდ წარმოშობოს! „ივერიის“ პუბლიცისტს დავიწყებია, რომ აქ ლაპარაკი მამულის პატრონზე, მამულის მესაკუთრეზე, ხაზინაზე და ამ მამულის მოსარგებლე გლეხზეა და არა ჩემზე, ბ. ტფილისელზე და სხვა გარეშე პირზედ. მამულის ჩამორთმევაზე რომ ვლაპარაკობდი, ხაზინა მყავდა მხედველობაში და არა ეს გარეშე პირი

ფრიად საყურადღებოა, რა მოსაზრებით სარგებლობდნენ კანონის შემადგენელნი, როდესაც სახაზინო გლეხებზე სჯა ჰქონდათ. ამის შესახებ ზემოდ აღნიშნულ წიგნში ვპოულობთ ცნობებს. სახაზინო გლეხს მიწის მესაკუთრედ ვერ გავხდითო, რადგან 1) „გლეხის მეურნეობა ჯერ კიდევ გაუმჯობესებული არ არის. ნადელი, უმეტეს შემთხვევაში, ურწყავია. ამის გამო ამ ჟამად დიდ ნადელებს აძლევენ. ხოლო თუ ამ ნადელებზე სარწყავი არხები გაიყვანეს, იმ შემთხვევაში მიწას მეტი ფასი მიეცემა და თუ ეხლა ერთ კომლს არჩენს, მაშინ რამდენიმე კომლს გამოჰკვებავს. ამ მოსაზრების ძალით, გლეხის მესაკუთრეობა მთელ ქვეყანას ვნებას მოუტანდაო... ვერ გავხდითო, რადგან 2) გლეხი მიწის მესაკუთრედ რომ გავხადოთ, ე. ი. გაყიდვის და დაგირავების უფლება რომ მივცეთ, ამას, როგორც იყო შიდა გუბერნიებში, ძლიერ ცუდი შედეგი მოჰყვება. მთელი მიწა სოფლის წურბელების ხელში გადავიდაო... მოსაკუთრედ ვერ გავხდითო, რადგან 3) კავკასიაში მიწის გამიჯვნა ჯერ არ დამთავრებულა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. გამიჯვნის დროს სახაზინო ნადელი რომ სხვისი საკუთრება აღმოჩნდეს, ამ მოსაკუთრეს ნება არა აქვს

---

*) იხ, „ცნ. ფურც.“ № 1758.

[1] Земельные вопросы стр. 100. 1901 г.

წაართვას გლეხს მიწა. მიწა უნდა იყოს გამოყიდული. ხოლო ხაზინას გლეხი მიწის მესაკუთრეთ რომ გაეხადა და არამოსარგებლედ, იმ შემთხვევაში ამგვარი მიწა გლეხს ადვილად წაერთმეოდათ“¹). ამგვარის აზრით ხელმძღვანელობდენ კანონის შემადგენელნი და ამგვარი შეხედულება კანონს საფუძვლად დაუდვეს. ხოლო ამ კანონის შედგენის დროს ამ მოსაზრებას წინააღმდეგებიც გამოუჩნდნენ. იმავე წიგნში ამ მოწინააღმდეგეების აზრსაც ვპოულობთ: 1) მესაკუთრე მეტის გულმოდგინეობით და სიყვარულით შეიმუშავებს თავის მიწას, რადგან თავის ნამუშევრის ბატონი იქნება. მოსარგებლე ამ გულმოდგინეობას ვერ გამოიჩენს და მით ავნებს საზოგადო მეურნეობას; 2) თუ ხაზინას საზოგადო საქმისთვის (ტყის გაშენება, სკოლის დაარსება და სხვ.) მიწა დასჭირდა, იმ შემთხვევაში შეუძლიან ეს მიწა გლეხისაგან იყიდოს. „მართალია, ზოგიერთ ნადელს მეტი ფასი მიეცემა, თუ რიგიანად მოირწყა, მაგრამ ბევრი მიწა ხომ მცირე ნაწილს აქვს“; 3) მიწის დაგირავებას და გაყიდვასაც უშველება, კანონის ძალით რომ ხელ-უხლებლად იყოს ცნობილი გლეხის ნადელი*). „Если право земельной собственности и неотчуждаемость уживаются вмѣстѣ во внутреннихъ губерніяхъ (какъ извѣстно давно уже составленъ въ этомъ смыслѣ особый законопроектъ) то мы не имѣемъ основанія не допускаъ того же и на Кавказѣ“... 4) რაც შეეხება გამიჯვნას და ამ გამიჯვნის გამო მიწის დაკარგვის შიშს, მოსაკუთრე გლეხი უფრო ადვილად დაიცავს გამიჯნულ მიწას. „ხაზინამ თუ შეიმაგრა გამოსადეგი მიწები, ისევ გლეხების შემწეობით, რომელნიც გამიჯვნის დროს ეხმარებოდნენ მას“²).

ერთის სიტყვით, კანონის შედგენის დროს ორი აზრი ჰქონდათ მხედველობაში: ერთის მხრივ, გლეხი მიწის მოსარგებლედ უნდა გაეხადათ, მეორეს მხრივ, მოსაკუთრედ. ამ ორ აზრში პირველმა გაიმარჯვა. არ ვიცი, თავისი გამოკვლევა რომ წარედგინა ბ. ტფილისელს, იქნება მესამე აზრი გამარჯვებულიყო და გლეხები „მოსაკუთრედ“ გაეხადნათ, ხოლო, რადგან ეს მაშინ არ მოხდა, ეხლა კი დაგვიანებულია, ჩვენი გლეხები მიწის მოსარგებლენი არიან.

არჩილ ჯორჯაძე

საზღვარ-გარედ

ავსტრ-უნგრეთი. 1848 წლის მარტის ამბების მოსაგონებლად, ამას წინად ვენაში იმ ხანის მოღვაწეებს თავი მოუყრიათ. მკითხველს ეცოდინება, რომ ეს ის მოღვაწენი არიან, რომელთაც ავსტრიის პარლამენტი შეადგინეს. ამ გათეთრებულ „ახალგაზდა ბებრების“ ერიდობა ფრიად საინტერესო სანახავს წარმოადგენდა. ამ ერიდობაში უმცროსი წევრი 75 წლისა იყო. ეს დ-რი კოპშია, რომელმაც ამ მოკლე ხანში წარმომადგენლობას თავი დაანება და პარლამენტიდამ გამოვიდა. თავის ჩამორჩენას პოლიტიკურ ასპარეზიდამ იმით ხსნის, რომ ამ ჟამად ავსტრიის პარლამენტში აზრთან ბრძოლას ბოლო მოეღო. თუმცა დავბერდით, მაგრამ დრო არ ჩამორჩა, ეხლაც შემეძლო კეთილშობილურ ბრძოლაში მონაწილეობა მიმეღო. იმ სტიქიონურ უაზრო ძალას-კი, რომელიც ეხლა ჩვენს პარლამენტში დამყარდა, ჩემი ძალ-ღონე ვერ აუვა და ჩემი ამომრჩევლების ნდობას ვერ გავამართლებო. ერიდობის ბანკეტზედ ამ პატივცემულმა მოხუცმა, სხვათა შორის, ესეც სთქვა: „ერთმა მრეწველმა მითხრა, თუ ზნეობით იხელმძღვანელე, გზებს ვერ გაიკვლევო. ეს მართალი არ არის. თუ იდეალი არ არის, ცხოვრებას წინ ვერ წასწევ. კაცობრიობას თუ რამე აკეთილ-შობილებს, ეს იდეალების მუდმივი შემუშავება“. მეორე ორატორმა დ—რ. ოფნერმა აღნიშნა: „ცუდი დრო დაგვიდგა, როგორღაც უკან-უკან ვიწევით. ხოლო ყველა ეს დროებითია. პირველის შეხედვით კაცს ეგონება, მაღლიდამ ქვევით დავეცით. ეს მხოლოდ ასე გვეჩვენება. ჩვენ მომავალს თამამად უნდა შევცქეროდეთ: გაზაფხული გვიახლოვდება, თუმცა სანამ გაზაფხული დაგვიდგება, გრგვინვაა და სუსხი მხუთავი ქარიშხალი“ ეხლანდელ „ბებერ ახალგაზდების“ თვალში რა სასაცილონი იქნებიან გულ-უბრყვილო „ახალ-გაზდა ბებრებიო“, დასძენს ამის შესახებ გაზ. „რუს. ვედომოსტი“.

იტალია. 10 მარტს დეპუტატთა პალატამ 186 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 50 ხმისა შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: ბავშვებს მხოლოდ მაშინ ეძლევათ მუშაობის უფლება, როდესაც ისინი 12 წლ. შესრულდებიან. მაღნებში მუშაობა მცირე წლოვანთ ეკრძალებათ. ჯანმრთელობისათვის მავნებელ სამუშაოში ქალ-ვაჟებს 15 წლის შესრულებამდე ეკრძალებათ. ღამე მუშაობა 15 წლამდე აკრძალულია. და ხუთი წლის შემდეგ, ამ კანონის გამოქვეყნების დროიდამ, საზოგადოდ ყველა ქალებს ღამით მუშაობა აღეკრძალებათ. მშობიარე ქალები, დაწოლის დროიდამ ოთხი კვირის შემდეგ, იწყებენ მუშაობას. ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ორი კვირის შემდეგაც ეძლევათ უფლება. სამუშაო დღე ქალებისათვის—12 საათია, ყმაწვილებისათვის 12—15 წლამდე—11 საათი, 10—12 წლამდე —(თუ კანონის გამოქვეყნებამდე შემოვიდნენ ქარხანაში)—8 სათ.

ამასთანავე უნდა მოვიგონოთ, რომ ისპანიის საფინანსო მინისტრის დეკრეტის ძალით ისპანიის ყველა სახელმწიფო ქარხნებში 8 საათის სამუშაო ვადა არის შემოღებული.

ინგლისი. ლონდონის ბირჟაზედ ძლიერ გახარებულნი არიან კიტჩენერის და ბურების მოლაპარაკების გამოისობით. მათ რაღაც იმედები აქვთ, თუმცა აშკარაა, რომ ტრანსვალის და ორანჟის რესპუბლიკის წარმომადგენლები ინგლისელებს არას დაუთმობენ. ხმა დადის, ვითომ ბურებმა ინგლისელებს აფრიკანდერების პატიება უნდა სთხოვონ. აფრიკანდერები ბურების ჯარის უმრავლესობას შეადგენენ.

მაკედონია. მაკედონია, როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, ოსმალეთის ნაწილს შეადგენს. წინად ოსმალეთსვე ბოლგარია, სერბია, საბერძნეთი და სხვა ქვეყნებიც შეადგენდნენ. დროთა მსვლელობაში ყველა ესენი ოსმალეთისგან განთავისუფლდნენ. ხოლო მაკედონიას ჯერ არა ეშველა-რა. ამ ჟამად მაკედონელებსა და ოსმალებს შუა დიდი შეტაკებაა და განუწყვეტელი მძულვარებაა. მაკედონიაში კომიტეტები დაარსდა. ამ კომიტეტების განზრახვაა—აჯანყონ მაკედონელები და ოსმალებს და მაკედონელებს შუა შეტაკება გამოიწვიონ. იმით იმედი აქვთ, ამის მაყურებელი ევროპა ჩაერევა მაკედონელების საქმეებში და მათ გაანთავისუფლებს. ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარედ ბორის საფარავი იყო, რომელიც ბოლგარიის მთავრობამ დაიჭირა და სასამართლოში მისცა. ამ მოკლე ხანში საფარავი გაანთავისუფლეს და ისევ შეუდგა ძველ მოქმედებას. ოსმალეთს ძლიერ აფიქრებს რევოლუციონურ კომიტეტების მოქმედება. რამდენჯერმე ევროპასაც მიჰმართა, მაგრამ ევროპამ უპასუხა, კარგად მოექეცი მაკედონელებს და არ აგიჯანყდებიანო. ოსმალეთი თავისას არ იშლის და სჩაგრავს მაკედონიას და საქმეს თვითონვე ამწვავებს. რითი გათავდება ეს საქმე, ახლო მომავალი გვაჩვენებს.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნიის საფაბრიკო-საქარხნო ინსპექტორმა განიზრახა **რჩევა მოახდინოს** ფაბრიკების, ქარხნების, სტამბების და სხვა სავაჭრო დაწესებულებათა პატრონებთან, რომ გაიცნოს როგორი წეს-რიგია შემოღებული იმ დაწესებულებაში, ვინ მუშაობს და რა პირობით, ჯარიმას რამდენს ახდევინებენ და სხვა შინაური განკარგულებანი. ამისთანა რჩევა იყო მესტამბეთა 19 მარტს. შემდეგ იქნება რჩევა მეთამბაქოებთან, მეტყავეებთან და სხვ.

◆ როგორც გადმოგვცეს, ჩვენ ახალ გაზრდა მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს, რომელიც ამ ჟამად ბერლინის უნივერსიტეტში მეცადინეობს მთავრობის მინდობილობით, გერმანულს ენაზე **საქართველოს მოკლე ისტორია** დაუწერია. ბერლინის უნივერსიტეტის რექტორს ბ-ნს არნაკს ძლიერ მოეწონებია ბ-ნ ჯავახიშვილის შრომა და აღუთქვამს გერმანულს საუკეთესო ჟურნალში დაბეჭდვა. ამ მოკლე ხანში კიდევაც დაიბეჭდებაო. ბ-ნი ჯავახიშვილი ახლო მომავალში პალესტინაში მიემგზავრება.

◆ მოსკოვის პოლიცია აცხადებს იმ პირთა სიას, რომელთაც, სავალდებულო დადგენილებათა ძალით, მიესაჯათ დაპატიმრება 13 მარტს მომხდარ არეულობაში მონაწილეობის მიღების გამო. სიაში **ორი ქართველი სტუდენტიც** არის: სპირიდონ გიორგის ძე ჯაფარიძე და კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ლორთქიფანიძე; პირველი დაპატიმრებულ იქმნა 2 თვით, მეორე—ერთი თვით.

◆ გუშინ, 20 მარტს, განსაკუთრებულმა კომისიამ, გამგეობის წევრის თ. ჩერქეზიშვილის თანადასწრებით, დაათვალიერა ადგილი ქალაქის **ხორცის დუქნისათვის** თამამშევის ქარვასლაში. ადგილი კომისიამ მოიწონა და პატრონსაც მოურიგდა ქირაზე. თამამშოვებმა ეს ადგილი დაუთმეს ქალაქს პირველ წელიწადს 1,100 მანეთად, ხოლო შემდეგ წლებში 1,300 მან. ამის შემდეგ ქალაქის თავის მოადგილის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა ხორცის ხარისხებად დაყოფის სისტემის შეცვლის შესახებ.

◆ მთავარ მართებლის კანცელარიამ გაუგზავნა ქალაქის გამგეობას პროექტი „საზოგადოება ელექტრონის ფუნიკულერისა“, **რომელიც ტფილისში დაარსდა.**

◆ ხვალ, 21 მარტს, საღამოს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექნება **ქალაქის სასწავლებელთა** გამგე-კომისიას.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ მიმდინარე წლის 11 თებერვალს მტკვარმა მოიტაცა მეეტლე კონტრიძე, რომელიც ცხენებითა და ეტლით ტფ. მოქალაქის ბექ-ავაქოვის წისქვილს ქვეშ მოჰყვა და დაიხრჩო. ამის გამო, წყალში **დახრჩობისაგან გადამრჩენელმა** საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ტფილისის გუბერნატორის წინაშე, რომ დაევალოს ტფილისის წისქვილების პატრონებს, იქონიონ ისეთი იარაღი, რომ უბედურების დროს წყალ-წაღებულნი დაიჭირონ. ტფ. გუბერნატორმა გუშინ წინადადება მისცა ტფ. პოლიცმეისტერს ვალდებულ ჰყოს წისქვილების პატრონები თავიანთ წისქვილების ნავებზე გამართონ თოკის ბადე, რომელიც უბედურების მსხვერპლს დაიჭერს და წისქვილის ქვეშ აღარ შეათრევინებს მდინარეს.

◆ **ცხენის რკინის გზების** მეთვალყურე კომისია, ქალაქის ტეხნიკოსების თანადასწრებით, დღეს, 21 მარტიდან შეუდგება ავჭალის ქუჩის ცხენის რკინის გზის შემოწმებას; 25 მარტიდან კომისია შეუდგება ბელგიის უსახელო საზოგადოების ცხენის რკინის გზების დათვალიერებას.

◆ ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ დაავალა სახლის პატრონს ტერ-მოსესოვს, რომლის სახლშიაც მოთავსებულია ქალაქის ავლაბრის სასწავლებელი, დაუყონებლივ შეუდგეს ამ **შენობის შეკეთებას.**

◆ ქალაქის გამგეობის დადგენილებით, **ქალაქის ბეითლებმა** უნდა მორიგეობა გასწიონ ხოლმე ქალაქის ბაზრებში, თვალ-ყური ადევნონ როგორც სისუფთავეს სანოვაგის დუქნებისას, აგრეთვე იმასაც, რომ ყველა ხორცის მსყიდველს აუხსნან, რომელი ადგილი რა ხარისხის ხორცია, რომ ყასბებმა არ მოატყუონ.

◆ მოგვივიდა „ქართვ. შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ **ახალი (№ 53) გამოცემა** „დავით კლდიაშვილის მოთხრობანი“. წიგნში გადმობეჭდილია „მოამბე“-დან „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „სოლომან მორბელაძე“—ორი საუკეთესო მოთხრობა ჩვენის ნიჭიერის ბელეტრისტისა. წიგნში 198 გვერდია და ღირს ექვს შაურად.

◆ ტფილისის პოლიცმეისტრის განკარგულებით, ქალაქისა და საგუბერნიო ბეითლებმა ამასწინად შეამოწმეს ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის ცხენები, თუ რამდენად გამოსადეგნი არიან ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის. რადგანაც შემოწმებით 7 ცხენი უვარგისი აღმოჩნდა, გუშინ ტფ. პოლიცმეისტერმა მისწერა ქალაქის თავის მოადგილეს გადადებულ იქნეს ქალაქის საშუალებიდან 1050 მან. ახალ ცხენების შესაძენად.

◆ დღეს, 21 მარტს, ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: ყარამან ზახუბაიასი, რომელსაც ქალის მოტყუება ბრალდება, ისაკ ბეჭვაიასი, რომელსაც სიყალბის ჩადენა ბრალდება, ალექსანდრე გოგაშვილისა, შარვან სარშანიასი, საქო ძებშაშვილისა და ს. მურზაშვილისა, რომელთაც ქურდობის ჩადენა ბრალდებათ.

◆ ტფილისის მაზრის უფროსმა შეატყობინა საქმით განყოფილებას, რომ ს. დოუბანში გაჩნდა წითელა. საქმით განყოფილებამ მისცა წინადადება ტფილისის მაზრის სასოფლო ექიმს თუმჯანაშვილს წავიდეს აღნიშნულს სოფელში და საქმით დახმარება აღმოუჩინოს ავადმყოფებს.

◆ ტფილისის საქალაქო საავადმყოფოში ამ თვის 11-დამ 18-მდე 8 ავადმყოფი იყო ქუნთრუშით და სამი ხუნაგით; მათ შორის გამოიწერნენ ერთი ქუნთრუშიანი და ერთიც ხუნაგიანი. ამ ხანათ საავადმყოფოში თავისუფალი ადგილი არის 21.

◆ 15 მარტს, ღამით, ვიღაც ავაზაკებმა გაძარცვეს ზედაძნის მონასტრის ეკკლესია, საიდანაც გაიტანეს საეკლესიო ნივთები ვერცხლისა. ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკვლავი, კოვზი, ტაკუკი ლამბაქით, ორი ოქროს ბეჭედი ბრილიანტებით, ოქროს აბზინდა ალმასებით, 15 პირსახოცი, ხუთი აბრეშუმის ხელსახოცი, ორი ხალიჩა, აბრეშუმის ოდიკი, ცხრა დაფარნა, ერთი ვერცხლის კოვზი და ერთი სპილენძის ვარსკვლავი—სულ 358 მანეთისა. გარდა ამისა სამი გატეხილი ყუთიდან ამოუღიათ 33 მან. და 50 კაპ.

◆ 14 მარტს ბაკურციხეში (სიღნ. მაზრა) ღამე ბოროტ-გამზრახველებმა გატეხეს თ. დავით ვაჩნაძის სახლი და გაიტანეს სხვა და სხვა ნივთები—სამოვარი, ხალიჩა და სხვა ავეჯი, სულ 150 მან.

◆ 18 მარტს სიღნაღის მაზრის სოფ. ლაგოდეხში რაღაც გაუგებარ მიზეზისა გამო გადაიწვა გურგენ ოტიაშვილის ქოხი, რომელიც დახურული იყო ჩალით. ქოხში შენახული ყოფილა ტყის მასალა და თამბაქოს ნაწარმოები, სულ 4,000 მან. ღირებულობისა.

პრესსა

„ცერკოვნ. ვესტნიკ“-ი დიდის თანაგრძნობით ეგებება საერო განათლების სამინისტროს ახალს განკარგულებას ეგზამენების გაუქმების შესახებ; გაზეთი სწუხს მხოლოდ, რომ ეს სასარგებლო განკარგულება არ შეეხო სასულიერო სასწავლებელთაც.

სასულიერო სასწავლებლებში გადასასვლელ ეგზამენების გაუქმებას აპირებდნენო, განაგრძობს სასულიერო გაზეთი, ათი წლის წინად; მაშინ ამ განზრახვას თანაგრძნობით მიეგებნენ სასულიერო და საერო უწყებანი. მაგრამ სიფრთხილემ, აუჩქარებლობამ და ტრადიციების პატივისცემამ, რაც სასულიერო უწყების ჩვეულებრივს კუთვნილებას შეადგენს, შეაჩერეს მაშინ განზრახვის განხორციელება და აი, ახლა სასულიერო უწყება ჩამორჩა საეროს. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ამ საკითხს არ დაივიწყებს საგანგებო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს სასულიერო სწავლა-განათლების საქმის განხილვა და მოსპობილ იქნება ძველი წესი, რომელიც ასე საშინლად სტანჯავს ბავშვებს და სარგებლობა-კი არავითარი არ მოაქვს.

რუსეთის ქრონიკა

∝ უმართ. სენატმა განმარტა, რომ არამართლ-მადიდებელთ, როდესაც სახელმწიფო სამსახურში შედიან ან ჯარებში ჩაირიცხებიან, დაწესებული ფიცი უთუოდ რუსულს ენაზე უნდა მიიღონ.

∝ 9 მარტს პეტერბურგში მოხდა პირველი სხდომა იმ კომიტეტისა, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ საქალაქო საარჩევანო უფლება ბინის დამქირავებელთაც მიენიჭოს. განზრახულია ეს უფლებანი მხოლოდ იმათ მისცენ, ვინც 39 მან. იხდის სახელმწიფო სასადგომო გადასახადში, ესე იგი, ვინც 1400-მანათიან სადგომს ქირაობს. ამასთანავე განზრახულია სადგომის გადასახადი ქალაქებს გადასცენ.

∝ „ნოვოე ვრემია“-ს სწერენ იაროსლავლიდან, რომ წარსულ წელს იაროსლავლის გუბერნიის ხალხის განათლების ხელის შემწყობ საზოგადოების საბჭოს შუამდგომლობა აღუძრავს საერო განათლების სამინისტროს წინაშე ნებადართულ იქმნას უფასო სახალხო ნეკრასოვის წიგნთ-საცავში იქონიონ ნ. ა. ნეკრასოვის თხზულებათა სრული კრებული; ამ დღეებში მოსვლიათ პასუხი, რომ ეს შუამდგომლობა შეწყნარებული არ იქნება, პოეტის ზოგიერთი ნაწარმოების უკულმართის მიმართულების გამო ამ გვარად, წიგნთსაცავს, რომელსაც ნეკრასოვის სახელი ჰქვიან და რომელიც იმის სურათით შემკულია, არა აქვს ღონისძიება დააკმაყოფილოს მკითხველთა თხოვნა და უნდა დასტოვოს ისინი გამოურკვეველს მდგომარეობაში, ამ აუარებელ წიგნთა შორის რატომ არ არის თხზულებანი იმისა, ვის სახელსაც წიგნთ-საცავი ატარებს.

---

²) ibid. стр. 99.

*) რა მნიშვნელობა აქვს გლეხის კეთილდღეობის იკითხვაში მიწის ხელ-უხლელობას (неотчуждаемость), ამაზედ სხვა დროს მოვილაპარაკებთ.

²) ibid 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება

19 მარტს, საღამოს, საზოგადო კრება ჰქონდათ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთ, კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრის ნ. ა. სულტან კრიმ გირეის თავმჯდომარეობით. კრებამ პირველად განიხილა საზოგადოების საბჭოს დადგენილება, რომლითაც თავ. ანდრონიკაშვილის ნაცვლად საზოგადოების ბიუროს გამგედ დაინიშნა პ. ი. ყიფიანი; ბიუროს საქმის წარმოება უნდა იქნეს ძველ წესზე დაყენებული და მის შესანახავად ყოველ წლობით საზოგადოების საშუალებიდან 1800 მანეთი უნდა გადიდვასო და სხვა. საზოგადოების საბჭოს გარდაწყვეტილებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია დამსწრე წევრთა შორის.

ა. ბ. ევანგულოვი ამბობს: ბიუროს საქმე იმდენად რთულია, რომ ყოვლად შეუძლებელია ერთმა კაცმა აწარმოვოსო. ამიტომ უკეთესი იქნება ამოვირჩიოთ ოთხი ან ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დავავალოთ ამ საქმის მართვა-გამგეობა ისე კი, რომ ბ. ყიფიანი იქნება საქმის მეთაურად, დანარჩენი წევრნი-კი კოლლეგიალურ დახმარებას გაუწევენ. ბიუროს საქმეები ყოველ წლობით 150 ათასსა და 200 ათას მანეთამდე ადის და ამიტომ მეტი ძალაა საჭირო, რომ საქმეს რიგიანი მიმართულება მიეცეს და დროზე კავკასიის ყველა კუთხეებს სამკურნალო წამლები თუ იარაღები მიეწოდოსო.

გ. დ. ჟურული წინააღმდეგია ბ. ევანგულოვის მოსაზრებისა და ამბობს: გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ბიუროს საქმე მხოლოდ ერთ კაცს შეუძლია კარგად აწარმოვოს; ეს ისეთი ცოცხალი საქმეა, რომ მუდამ კაცი თავს უნდა დასტრიალებდეს და, რაღა თქმა უნდა, ასეთს სავაჭრო საქმეს ოთხი-ხუთი კაცი თავს ვერ გაართმევს. ბიუროს საქმე თუ კარგად მიდიოდა, ეს მხოლოდ მიტომ, რომ მას ერთი კაცი მეთაურობდა. რაც შეეხება კოლლეგიალურად საკითხის განხილვას და ამით ბიუროს გამგეს დახმარებას, ეს აქამდე როგორც იყო, ისევე დარჩება: აქამდე და აწიც მთელი ამ საქმის გამგე და პასუხის მგებელი საზოგადოების საბჭოა, რომელიც ბიუროს გამგეს წარდგენით არჩევდა ამა თუ იმ საკითხს და შემდეგ ასასრულებლად მასვე გადასცემდა ხოლმე.—ჩემის აზრით, თუ ამ საქმის ისევე რიგიანად დაყენება გვინდა, მისი წარმოება ერთ კაცს უნდა მივანდოთო.

გ. დ. ჟურულს მიემხრნენ ბატონები— ვ. სულხანიშვილი, კაჩინსკი, თავ. ი. ანდრონიკაშვილი და სხვანი.

ა. ბ. ევანგულოვს მიემხრნენ და მისი განმარტება განმარტ-დაასაბუთეს: თავ. ვახვახიშვილმა და ბ-ნმა ალიბეგოვმა.

ა. ქალანთარმა განმარტა: ამ დღეებში მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან საზოგადოებას მოუვიდა შეუმუშავებული პროექტი წესდებისა, თუ როგორ უნდა მოეწყოს სამეურნეო საზოგადოებებთან ბიუროები; რადგანაც ეს საკითხი ახლო მომავალში უნდა განვიხილოთ, ამიტომ, ჩემის აზრით, უკეთესი იქნება დავსტოვოთ შეუცვლელად საბჭოს გარდაწყვეტილება ბიუროს შესახებ იმ დრომდე, ვიდრე ამ საკითხს განვიხილავდეთო. კრება დაეთანხმა ბ-ნ ქალანთარის მოსაზრებას და დაამტკიცა საბჭოს დადგენილება.

შემდეგ გ. დ. ჟურულმა წარუდგინა კრებას განსახილველად მოხსენება განსაკუთრებულის კომისიისა კახეთში სეტყვასთან საბრძოლველად მორტირების სადგურის მოწყობის შესახებ. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულმა სხდომამ გარდასწყვიტა ჯერ-ჯერობით კახეთში სეტყვის საბრძოლო მანქანების დასადგმელად გადადებულ იქმნეს 5,000 მან. თუ როგორ მოწყობილიყო ეს საქმე ბანკის წარმომადგენელთან ერთად სამეურნეო საზოგადოების გარდაწყვეტილებით ამორჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც მთელი ამ საქმის შესახები მასალის შესწავლის შემდეგ სამეურნეო საზოგადოების კრებას შემდეგი წინადადებანი წარუდგინა განსახილველად: 1) კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, ეფუძნება-რა ლიონის კონგრესის დადგენილებაზე, სასოფლო-მეურნეობის ინტერესების დასაცველად ურჩევს კავკასიის კუთხის სოფლის მეურნეებს სეტყვასთან ბრძოლა მოაწყონ მორტირების საშუალებით; 2) ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელების გასაადვილებლად სამეურნეო საზოგადოებამ უნდა აღძრას სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ გამოიცეს განსაკუთრებული ნორმალური წესები მორტირების საქმის მოსაწყობად, თოფის წამლის მისაღებად და მის შესანახავად განსაკუთრებულ სარდაფების მოსაწყობად; 3) შედგენილ იქმნეს წესები, რომლითაც სოფლის მეურნეთ შეეძლოთ შეადგინონ ამხანაგობები თავიანთ მამულებში მორტირების მოსაწყობად; აგრეთვე შედგენილ იქმნეს და წვრილებითი აღწერა მორტირების სადგურის მოწყობილებათა შესახებ და გამოიცეს სახელმძღვანელო ინსტრუქციები. კომისიას აგრეთვე შეუდგენია ხარჯთ-აღრიცხვა, თუ რამდენი ფული დაეხარჯება ამ ჟამად ბანკს კახეთში 15 ზარბაზნის მოსაწყობად. კომისიის ანგარიშით, თითო ზარბაზანი ეღირება 125 მან. და სულ 15 ზარბაზნის, მოწყობა დაჯდება 1875 მან., თოფის წამალი 700 მან., სარდაფების მოწყობა 400 მან. და სხვა-დაწვრილმანი ხარჯი სულ მოუნდება წელს ამ საქმეს 4880 მან.

ცოტა ხანს მოლაპარაკების შემდეგ კრებამ მიიღო კომისიის მიერ წარდგენილი მოხსენება და ხარჯთ-აღრიცხვა და გარდასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას უმაღლეს მთავრობის წინაშე, ნება დაერთოს საზოგადოებას კახეთში ბანკის მიერ გადადებულ ფულებით მოაწყონ ამ ხანად 15 სეტყვასთან საბრძოლველი მორტირი.

* * *

ქუთაისის ქალაქის საბჭო

18 მარტის სხდომა

საღამოს 9 საათზე ძლივს შეიკრიბა 28 ხმოსანი და საბჭო წინანდელი სხდომის ოქმის წაკითხვას შეუდგა. თავმჯდომარემ, ქალაქის მოურავმა დ. ლორთქიფანიძემ საბჭოს მოახსენა, რომ 1898 წლის გამგეობის მოქმედება საბჭოს კომისიამ უკვე განიხილა და თავის ანგარიში კიდევაც წარმოადგინა, მაგრამ ამის განხილვა სხდომის ბოლოს გადავდვათ, რადგან სხვა საჭირო საქმეები გვაქვს განსახილველიო.

საბჭო დათანხმდა და სხვა მორიგ საქმეების განხილვას შეუდგნენ. პირველად მოხსენდა „ეკლარის ქვის სატეხი“-ს შესახებ იმ კომისიის აზრი, რომელიც საბჭოს მიერ ამორჩეული იყო. ეკლარის ქვის სატეხი აქამომდე იჯარით იყო გაცემული, ეხლა-კი ქალაქმა თვითონ მოინდომა ამის ექსპლოატაცია და დაავალა გამგეობას საჭირო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა. ეს ანგარიში, როგორც საბჭოს მოხსენდა, სულ სამას თუმნამდე ასულა და უნდა მოხმარდეს: შტეიგერის მოწვევას, იარაღების შეძენას, მუშებისათვის ბინების აგებას, ორის ზედამხედველის დაქირავებას და სხვ.

დიდი კამათი გამოიწვია ამ საგანმა. ხმოსნები: ჯაიანი, დარახველიძე, ქილაძე და აბდუშელიშვილი იმას ამტკიცებდნენ, რომ ჯერ ერთი ქალაქის საქმე არ არის ქვის ტეხა თვითონ აწარმოვოსო და მეორეც—ხარჯი ბევრი გვექნება და შემოსავალიც ან სულ არ გვექნება, ან იმდენი იქნება, რომ არ ღირდეს შრომათაო. პირველ შემთხვევაში ჩვენ შესუსტებულ კასას მეტად დააწვება ამ საქმის ხარჯებიო. ამიტომ ეს ხმოსნები ურჩევდნენ საბჭოს ეკლარის ქვის სატეხი ისევ იჯარით გაიცესო.

ამის მოწინააღმდეგენი (ამათ შორის თვითონ თავმჯდომარეც) იმას ამტკიცებდნენ, რომ პირველ ხანებში მართლაც რომ არ ნახოს ქალაქმა მოგება ამ საქმიდან, მომავალში მაინც კარგ მოგებას უნდა მოველოდეთო. პირველად დაწყებული საქმე ყოველთვის მეტ ხარჯს თხოულობს და, დროს-განმავლობით, ეს ხარჯი ყოველთვის იკლებს, მაშინ როდესაც შემოსავალი შეიძლება წარმატებაში წავიდესო.

მესამე ჯგუფის ხმოსნებიც აღმოჩნდნენ: ამათ ის რჩევა წარმოადგინეს, რომ საქმეს ნუ ავუჩქარდებით. კიდევ ახალი კომისია ავირჩიოთ და დავავალოთ დაწვრილებით გაიცნოს ამ საქმის ვითარება და თავისი აზრი მოკლე ხანში მოგვახსენოსო.

საბჭოც ამ გზას დაადგა და აირჩია კომისია; კომისიას შეადგენენ ხმოსანნი: აბდუშელიშვილი, დარახველიძე, ექიმი ნაზაროვი, ქილაძე, ნანეიშვილი და ალ. საყვარელიძე.

მეტად საყურადღებო მოხსენება იყო ქუთაისში წყლის მილის გამართვის შესახებ. მილის გამართვის საქმე ინჟენერ მიხაილოვს ჩააბარეს ხელშეკრულობით. ბ-ნმა მიხაილოვმა ტეხნიური პროექტი მილების გაყვანისა ვადაზედ წარუდგინა გამგეობას. გამგეობამაც განიხილა იგი და ზოგიერთი ცვლილებაც შეიტანა ბ ნ მიხაილოვის პროექტში. სხვათა შორის, გამგეობამ მოსთხოვა კონცესიონერს, რომ მილების პირველი სათავე სხვა ადგილას გადაეტანა და არა იმ ადგილში მიეცა, სადაც ეს განზრახული აქვს წარმოდგენილს ტეხნიურ პროექტს.

ასეთი მოთხოვნილება გამგეობისა გამოიწვია საბჭოს მიერ ამორჩეულ ექიმთა კომისიის მოხსენებამ. პროექტში ორი ადგილია ნაჩვენები,—იმათგან ან ერთში, ან მეორეში უნდა ჩაეყარა კონცესიონერს მილების სათავე, მაგრამ ექიმთა კომისიამ ორივე ადგილი დაიწუნა იმიტომ, რომ ეს ადგილები სიბინძურეს არასოდეს არ ასცილდებიან და შეუძლებელია ამისთანა ადგილებში მილების სათავის აგებაო. კომისიის აზრის მიხედვით, ქალაქის გამგეობამაც მოსთხოვა ბ-ნ მიხაილოვს სხვა ადგილი ამოერჩია მილების სათავისათვის; ამასთანავე ადგილიც უჩვენა ბ-ნ მიხაილოვს ამ საჭიროებისთვის. საბჭომაც მოიწონა კომისიის და გამგეობის აზრი. ბ-ნმა მიხაილოვმა საგუბერნიო სამმართველოში განასაჩივრა ეს საქმე, მაგრამ აქაც უყურადღებოდ დასტოვეს ბ-ნი მიხაილოვის სათხოვარი.

ბ-ნმა მიხაილოვმა, მოთხოვნილების თანახმად. შეასწორა თავისი პროექტი, წარუდგინა გამგეობას და ისიც გამოუცხადა, რომ ქალაქთან შეკრულ პირობაში არ მიწერია ის ადგილები, სადაც მილის სათავის ჩაყრას ეხლა მაძალებთო; შევუდგები იქ სათავის აგებას, მაგრამ, რაც ზედ-მეტი ხარჯი მომივა ამის გამო, ქალაქს ვაზღვევინებ, თუ თანხმობით არა—უთუოდ სასამართლოს ძალითაო.

ამ გვარად მოხსენდა 18 მარტს საბჭოს კრებას წყლის მილის საქმე. ფიქრში ჩავარდნენ ხმოსნები. ხმ. დარახველიძეს წერილობითი მოხსენებაც-კი შეეტანა ამის შესახებ და ამტკიცებდა, რომ თუ ბ-ნ მიხაილოვს ძალა დავატანეთ და სწორედ იმ ადგილებში გავაკეთებინეთ წყლის სათავე, რომელიც ჩვენთან შეკრულ პირობაში არ უწერია, იმ შემთხვევაში ქალაქის კასა უთუოდ უნდა გავალოთ და ბ-ნ მიხაილოვს ზედ-მეტი ხარჯი უნდა ვუზღოთო.

ბევრმა ის აზრი გამოსთქვა, რომ უმჯობესია მეტი გადვიხადოთ და წყალი კი უშიშარ ადგილიდან წამოვიღოთო.

ხმ. სვანიძემ ის აზრიც წარმოსთქვა, რომ ექიმთა კომისიის მოხსენება იმდენად სავსებით არაა შემუშავებული, რომ ერთიანად ვენდოთო. ამისათვის ხელ-ახლავ გაისინჯოს წინად დანიშნული ადგილები და ამის შემდეგი საბჭოს მოხსენდესო. ხმოსანმა ასე დააბოლოვა თავისი სიტყვა: „მე რომ ვინმე ავად გამხდომია სახლში, სხვა-და-სხვა ექიმი მომიწვევია და ამათ არასოდეს ერთნაირად არ უცვნიათ ავადმყოფის სენი“...

ძლიერ იწყინა ხმ. სვანიძის სიტყვები ხმ. ექიმმა ნაზაროვმა. ერთ-ხანს ძალიან გაწიწმატდნენ ეს ორი ხმოსანი და სხვებიც, ბოლოს, თავმჯდომარის ცდამ და იმისმა ზარმა, როგორც იქნა სიწყნარე ჩამოაგდეს. საბჭომ ახალი კომისიაც აირჩია ამ საქმის გამოსაკვლევად: ხმოსნები საყვარელიძე, ხელთუფლიშვილი, კვირკველია, დარახველიძე, ექიმები ხეჩინოვი და თოფურია. ექიმმა ნაზაროვმა უარი განაცხადა. კომისიამ უნდა მოიწვიოს გარეშე ექიმები: სამხედრო უწყებისა—ბ-ნი ტოპოროვი, საგუბერნიო ექიმი, ბ-ნ თოფურიას საავადმყოფოს ექიმი ბ-ნი გერატი და ექიმი ძნელაძე.

საბჭომ ერთხმად დასტოვა წინანდელი ნიხრი ხორცისა: პირველი ხარისხისა ორი შაური, მეორესი—9 კ. და მესამესი—8 კ.

დასასრულ გამგეობის 1898 წლის მოქმედების განხილვას შეუდგნენ. წაიკითხეს კომისიის მოხსენება, მაგრამ ხმოსნებმა დარბაზიდან გასვლა დაიწყეს და სხდომა შესწყდა მეთორმეტე საათს.

* * *

დაბა-სოფლები

ბაილეთი (გურია): მარტის 16-ს, ჩვენი უშიშარი ღამის რაინდები მიუხდნენ ღამით ბაილეთში მცხოვრებს ხაფთასის ქვრივ დედაკაცს. სახლში ორს ქალს სძინებია, მაგრამ მათ ძრიელ ადრე გაუგიათ მკლავძეთა სტუმრობა. გმირებს, რაკი კარი ვერ გაუღიათ, შეუმტვრევიათ ფანჯრის მინა და ცდილან იქიდან გადასულიყვნენ სახლში, მაგრამ წაუხდათ გმირობა: ქვრივი მოხუცი წალდით იგერებდა დაუპატიჟებელ სტუმართ. ერთი იმათგანი ძრიელაც დაუჭრია ხელში. გამწარებულ-დამარცხებულ ქურდს თოფი უსვრია და მოხუცი მოუკლავს. მაგრამ მისი ადგილი წალდით დაუჭერია მეორე ქალს და ამრიგად ნება არ მიუცია ავაზაკებისათვის სახლში შესულიყვნენ. ქურდები ფულისთვის იყვნენ, მაგრამ ხელ-ცარიელი კი დაბრუნდნენ. მეორე დღესვე მოვიდა მაზრის უფროსი. ავაზაკები ვერ აღმოუჩენიათ. სისხლი კი ბევრია დაღვრილი.

შაშიანი (კახეთი): თუმცა დიდი ხანია შაშიანში სამრევლო სკოლა არსებობს, მაგრამ მას ისე არასდროს არ აულაპარაკებია სოფლელნი, როგორც ეხლა. აქამდის სკოლაში ასწავლიდა ადგილობრივი ეკკლესიის დიაკვანი ფხალაძე და კარგადაც მიჰყავდა საქმე. სოფელს თითქმის არაფერი არ ეხარჯებოდა.

2—3 წლის წინათ მაშინდელმა სამრევლო სკოლების მეთვალყურემ ბ. ჯაჯანიძემ მოახდინა სოფლის ყრილობა, რომელზედაც სოფლელთ განუმარტა, რომ, რადგანაც სკოლაში ქალები ბევრით მეტნი დაიარებიან, ვიდრე ვაჟები, ხოლო იმათ ესაჭიროებათ ჭრა-კერვა და ხელ-საქმის ცოდნა, ამიტომ დაგინიშნავთ ჯამაგირით მასწავლებელ ქალს, ოღონდ თქვენ შეშა, ოთახი და მოსამსახურე მიეცითო, მაგრამ სოფლელთ ამ სასარგებლო წინადადებაზე უარი განაცხადეს.

ეხლა კი სოფლის დაუკითხავად დაუნიშნავთ მასწავლებელი კაცი, რომელიც მოვიდა კიდეც. მერე ჩამოვიდა თელავ-თიონეთის სამრევლო სკოლების ზედამხედველი ბ. შავლიევი, მოიხმო მამასახლისი სოფლის ამორჩეული კაცებით და სთხოვა ოთახი, შეშა და მოსამსახურე ახლად დანიშნულის მასწავლებლისათვის. ამ თხოვნაზე მათ უარი განაცხადეს. რაკი ზედამხედველმა, ბევრი ლაპარაკის და დარიგების შემდეგ ვერ დაითანხმა, წინადადება მისცა მამასახლისს, მოეხდინა სოფლის ყრილობა და ყველას ერთად გადაეწყვიტნათ ეს კითხვა; ამასთან განუმარტა, რომ თუ თხოვნას არ დააკმაყოფილებდნენ და თუ წინანდელი მასწავლებელი უსასყიდლოდ არ დასთანხმდებოდა სამსახურს, მაშინ სკოლა დაიკეტებაო. ამ ამბავმა სოფელში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია: ჯერ ერთი ამბობდნენ გლეხნი,—თუ ოთახის, შეშის და მოსამსახურის მიცემა გვინდომოდეს, მაშინვე დავთანხმდებოდით, როცა მასწავლებლად ქალს გვინიშნავდნენ და როცა ჩვენი ნივთიერი მდგომარეობა ბევრით უკეთესი იყო ეხლანდელზეო. მეორე კიდევ: რად უნდა გადაგვახდევინონ ტყუილად მეტი ხარჯი, როცა მასწავლებელიც გვყავს და სკოლაც გვაქვსო. მამასახლისმა ამის თაობაზე, კვირას 10 მარტს, ყრილობა მოახდინა, მაგრამ მაინც არავინ დასთანხმდა ზედამხედველის თხოვნის დაკმაყოფილებას და ბევრი ყაყანის შემდეგ დაადგინეს: როგორც გვქონდა სკოლა, თუ ისევ ისე გვექნება, ხომ კარგი, თუ არა და დაიკეტოსო! ეს დადგენილება გაუგზავნეს ბ. შავლიევს და რითი გათავდება საქმე, ალლაჰმა უწყის.

* * *

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ საკვირაო სკოლის ერთ უცნაურ გულ-შემატკივარს.

„კვალის“ მე-11 ნომერში დაბეჭდილია შენიშვნა შემდეგის შინაარსისა: ქართულ დედათა საკვირაო სკოლაში თურმე ანბანიც არ იციან და ჯანმრთელობაზე და სამშობლო ისტორიაზე კი ლექციებს უკითხავენო. შენიშვნის ავტორს ეს დასკვნა იქიდან გამოუყვანია, რომ როდესაც კრებაზე ქართველი მასწავლებელი ქალები იკვეხნიდნენო, ერთი მათგანი ეშმაკურად იცინოდაო. რუსებს კი თურმე მშვენივრად ჰქონიათ საქმე დაყენებული, იმიტომ რომ არც-ერთი იმათი მასწავლებელი ქალი ეშმაკურად არ იცინოდაო. საკვირველი ფსიხოლოგი ყოფილა ეს ვაჟბატონი, მაგრამ ამ შემთხვევაში კი ვერ გაუჭრია იმის ფსიხოლოგიურს ნიჭს. მაინცა და მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერაფერ საფუძველზე ამყარებს თავის დასკვნას. თუ ძალიან გული შესტკივა საკვირაო სკოლის საქმისათვის, შეეძლო თითონ გაეცნო ამ საქმის მდგომარეობა და ქუჩის ჭორები არ ეხმარა თავისი შენიშვნის საფუძვლად. ვურჩევთ ავტორს ცოტა ფრთები შეაკვეცოს თავის მითომ და ფსიხოლოგიურ ნიჭს, თორემ ხშირათ მოუვა ამისთანა შეცდომები.

საკვირაო სკოლის მასწავლებელი ქალები

უცხოეთის წვრილი ამბები

ეხლა-ხან გერმანიის იმპერატორი, ვილჰელმ მეორე, ქუჩაში დასეირნობდა და მიუახლოვდა პატარა ბიჭების ჯგუფს, რომლებიც თოვლის გუნდაობას თამაშობდნენ. ერთი თოვლის გუნდა უცაბედად იმპერატორს მოხვდა, მაშინ პატარა ბიჭმა, რომელმაც გუნდა გაისროლა, მოირბინა მეფესთან და ჰკითხა „ხომ არა გატკინეთ რა, ბატონო იმპერატორო (ჰერ კაიზერ)? თუ გატკინეთ და აი მეორე გუნდა; მესროლეთ მე და გავსწორდებით“! იმპერატორმა გულიანის ხარხარით სურვილი აუსრულა პატარა ცელქს, რამაც დიდი სიამოვნება გამოიწვია პატარა ბიჭების კრებაში.

* *

შემოწირულება და დახმარება ისეთი უნდა, როგორც ამერიკაში იციან, რომ საზოგადო საქმეს ეშველოს რამე. 1901 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მდიდრებს შეუწირავთ საზოგადო საჭიროებისათვის ექვსას მილიონ მანეთზე მეტი, აქ არ ირიცხება ათას თუმანზე ნაკლები შემოწირულებანი. მდიდარი ამერეკელების შემოწირულებამ ამ წელს სულ გადააჭარბა წინა წლებში შემოწირულებას. ეს შემოწირულება სჭარბობს მთელი ქვეყნის სახელმწიფოების შემოწირულებას ამავე საქმეებისთვის. არც ერთი საზოგადო დაწესებულება არა ყოფილა ამერიკაში, რომ უხვი შესაწევარი არ მიეღოს. უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში ეს შემოწირულება უდრის 2,000 მილიონ მანეთს.

წარსულ წელს ანდრიუ კარნეგიმ შესწირა უნივერსიტეტებს და საზოგადო წიგნთ-საცავებს 80 მილიონი მანეთი. ქალ. სტანფორმა დახარჯა მარტო ერთ უნივერსიტეტზე, რომელსაც იმის შვილის სახელი ჰქვიან, 80 მილიონი მანეთი.

როკენფელერის შემოწირულება უდრის 14 მილიონ მანეთს და ამდენსავე დაჰპირდა ჩიკაგოს უნივერსიტეტს.

ეს მამაცხონებულები ერთი ამისთანა მაჩანჩალა მილიონერი მაინც გამოუჩნდეს ჩვენ სათავად-აზნაურო სკოლას და თეატრს! ეჰ, დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი!

* *

გამოჩენილი საფრანგეთის არტისტი კოკლენი საშინელი ძილის გუდაა. ოღონდ კი წამოწვეს სადმე და იმ წუთში ხვრინვას ამოუშვებს. მაგალითად. რეპეტიციების დროს ორი მოქმედების შუა დროს რომ წამოწვეს ტახტზე, მაშინათვე ჩაეძინება.

ერთხელ ერთს ქალაქში კოკლენი თამაშობდა ჰანიბალის როლს პიესა „ავანტურიერ“-ში. მეორე მოქმედების ბოლოს ჰანიბალი ნებას აძლევს დონ-ფაბრიციონს, რომ დაალევინოს იმას სასმელი და შემდეგ იძინებს.

ამ საღამოს კოკლენმა, რომელიც მოქანცული იყო რკინის გზაზე რამდენიმე გატარებული ღამის გამო, როგორც-კი თვალები დახუჭა, ნამდვილად ხვრინვა ამოუშვა, ღრმა ძილს მიეცა.

საბედნიეროდ, ამის შემდეგ ფარდა მალე ეშვება. საზოგადოება დიდი ნასიამოვნები დაიშალა, კოკლენს ყველანი აქებდნენ, მხოლოდ ზოგიერთებმა წარმოსთქვეს, რომ კოკლენმა... გადააჭარბაო! თურმე კოკლენის ნამდვილი ხვრინვა იმათ თამაშობა ეგონათ.

* *

ერთ პოლონურს გაზეთში მოთხრობილია, რომ როდესაც დამზღვევი საზოგადოების დამფასებელი გრაბოვსკი ამოწმებდა ლუპენსკის მემკვიდრეთა უძრავ ქონებას, სარდაფში წააწყდა ერთ ადამიანს, რომელიც დამპალ ჩალის გროვაში ეგდო და ზედ წაფარებული ჰქონდა რაღაც ძონძები. გამოკითხვამ აღმოაჩინა, რომ ეს იყო ერთი მემკვიდრეთაგანი, ივანე ლუპენსკი 26 წლისა, რომელიც რამდენიმე წელიწადი სარდაფში დამწყვდეული ჰყვანდა თავის ღვიძლ დას. როდესაც მამა მოუკვდათ, ეს ყმაწვილი ავად გახდა და ცოტა ჭკუაზედაც შეირყა, რის გამოც იმან გიმნაზია მიატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ყმაწვილი კაცი უწყინარი და უვნებელი ავადმყოფი იყო, დამ სარდაფში ჩაამწყვდია და რამდენიმე წელიწადი არსად არ უშვებდა. რადგანაც ის სარდაფი, სადაც საბრალო დამწყვდეული იყო, თავის დღეში არავის დაუსუფთავებია და გაუწმენდია, ადვილად წარმოსადგენია, როგორს სისუფთავეში იქნებოდა ყმაწვილი კაცი, რომელიც 15,000 მანეთად ღირებულის მარტო უძრავი ქონების მონახევრე იყო! ერთად ერთი იმისი საზრდო პური და წყალი იყო. როდესაც მამა შვილს და და ძმას ამისთანა შავ დღეს აყენებენ, უცხოსაგან რა ხეირს უნდა მოელოდეს კაცი და ან რა უნდა გაუკვირდეს!..

* *

ევროპაში დიდი ხანია არსებობს „მტრედების ფოჩტა“, ანუ წერილების წამღები მტრედები. ახლახან ჰოლანდიის ქალაქ ანტვერპენში სცადეს, გამოდგებიან თუ არა ამ საქმისთვის მერცხლები. ამის გამო დაიჭირეს ერთი მერცხალი, რომელსაც ქალაქის ერთ სახლის ერდოში ბუდე ჰქონდა, და ფრთებ ქვეშ წითელის მელნით ნიშნები გაუკეთეს. შემდეგ გარდასცეს ეს მერცხალი ერთ კაცს, რომელიც სხვა მხარეს მიდიოდა 235 ვერსის მანძილზე ანტვერპენიდან და თან საფოსტო მტრედებიც მიჰყვანდა. როდესაც ეს კაცი დანიშნულ ალაგზე მოვიდა, მერცხალიც და მტრედებიც გაუშვა ერთ დროს; მერცხალი, როგორც ისარი, ჩრდილოეთისკენ გაჰქანდა, მაშინ როდესაც მტრედები ჰაერში კარგა ხანს ერთ ალაგს ტრიალებდნენ და გზას იკვლევდნენ. საათ ნახევარს არ გაუვლია, რომ დანიშნული მერცხალი თავის ბუდეში ბძანდებოდა ანტვერპენში; მტრედები კი $4^1/_2$ საათის შემდეგ მოფრინდნენ.

ამ გვარად პირველი „ფოჩტალიონი“ გამოდგა კეკლუცი მერცხალი.

მოწოდება

(წერილი ალაგირიდან)

დიდი ხანია, რაც სამშობლოში მიწის სიძვირემ და მოუსავლობამ აიძულა რაჭის მცხოვრებლები მიეტოვებინათ თავიანთი სამშობლო ქვეყანა და გადმოსახლებულიყვნენ თერგის ოლქში უკეთესის ბედის საძებნელად. უმეტესობა მათგანი დაბინავდა სოფ. ალაგირში, რომლის მკვიდრი მცხოვრებნი არიან რუსები და ოსები. დღეს აქ ას კომლზე მეტი ქართველი სახლობს სხვის მიწაზე, იღებს იჯარით სახნავ-სათესს ადგილს, ხე-ტყეს და ამით იკმაყოფილებს ყოველ-დღიურს მოთხოვნილებას. ყველასათვის ცხადია, თუ რა ცუდი ბოლო მოელის უცხო მხარეში გადახვეწილთ, თუ მათი ცხოვრება თავისს დროზედვე არ მოეწყო სასურველად. ალაგირელი ქართველები სწორედ ნამდვილ გადაგვარების გზას ადგნენ, მაგრამ ბედმა გაუღიმა მათ და გაეხსნათ ქართული სამრევლო სკოლა, რომელსაც ინახავს კავკავის საეპარქიო საბჭო და იქაური ქართველობა. სკოლა დღეს მოთავსებულია ნაქირავებს სახლში. დღეს ალაგირელმა ქართველებმა მოინდომეს მიწის ყიდვა სკოლის შენობის და საკუთარ ეკკლესიის ასაშენებლად, რომ მიეცეთ შეძლება თავიანთ სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვა და სხვა ღვთის მსახურებაც მოისმინონ, რასაც დღემდის სრულიად მოკლებულნი არიან.

ამ საშვილიშვილო საქმის განსახორციელებლად აქაურმა ქართველებმა აირჩიეს კომიტეტი, რომელსაც დაევალა ზრუნვა ამ საქმისთვის და გაიწერეს კიდეც თავიანთ შორის 2000 მანეთამდე, მაგრამ, რადგანაც მიწა აქეთ ძვირობს, მაგალითად, ერთი ოთხ-კუთხი საჟენი ისყიდება არა ნაკლებ ექვსი მანეთისა, და მასთან ამ საქმის შესასრულებლად აღნიშნული ფული მეტად მცირეა, ამიტომ მივმართავთ უმორჩილესის თხოვნით ყველა გულშემატკივართ, ვინც თანაუგრძნობს უცხო მხარეში მყოფ ღარიბ ქართველობას, ნუ დაზოგავენ თავიანთ მცირეოდენს წვლილს ამ კეთილის საქმისათვის; ამასთანავე ვთხოვთ შეგვიგროვონ ნაცნობთ შორის მცირე შეწირულებანი და მოგვაწოდონ შემდეგის ადრესით:

Алагиръ въ Грузинскую школу. Учителю
Павлу ломтатидзе.

კომიტეტის წევრნი:
დავით მეტრეველი.
ალექსი ლომჯანიძე.
ზურაბ ჩიკვილაძე.

თავმჯდომარე კომიტეტისა მასწავლებელი
პავლე ლომთათიძე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

19 **მარტი**

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული დებულება მოსკოვ-იაროსლავ-არხანგელის რკინის გზის გადაცემისა გზათა სამინისტროს გამგეობაში საზოგადო წესით.

სევასტოპოლი. უმაღლესი ბრძანებით დანიშნულია ურთიერთ კრედიტის სახელმწიფო რევიზია.

ვლადიმირი. საგუბერნიო ერობამ საერობო გიმნაზიის შეგირდებს გოგოლის თხზულება და პორტრეტები დაურიგა.

კალუგა. საბჭომ დაადგინა, განაახლოს ფლიგელი, რომელშიაც 1849 წელს გოგოლი სწერდა „მკვდარი სულების“ მეორე ნაწილს.

კრონშტადტი. უამინდობის დროისთვის პეტერბურგის კარებთან გაიხსნა მშველელი სადგური.—„ერმაკს“ კრონშტადტში მოელიან 22 მარტს.

მოსკოვი. მასწავლებელი ქალი ალლარტ, რომელმაც გენერალ ტრეპოვს რევოლვერი ესროლა, დაპატიმრებული იყო თებერვლის უწესოებაში მონაწილეობის მიღებისთვის და სამი დღეა, რაც განათავისუფლეს გენერალ ტრეპოვის თაოსნობით, ავადმყოფობის და იმის დედის შუამდგომლობის გამო.

პოლკოვნიკმა მარშანმა და იმისმა თანამგზავრებმა გუშინ დაათვალიერეს მოსკოვის ღირს-შესანიშნავი ადგილები და დაწესებულებანი.

სარატოვი. სესხი გაიცა მუშა საქონლის გამოსაკვებად.

პეტერბურგი. 19 მარტს ხელმწიფე-დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, დიდ-მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასულთან ერთად, დაათვალიერა პატრიოტული საზოგადოების ვასილიევის ქალების სკოლა.

გუშინ დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ მეუღლით დაათვალიერეს სურათების მეოც-და-ათე მმოძრავი გამოფენა.

ვაშინგტონი. წარმომადგენელთა პალატაში სტცერმა წინადადება შეიტანა, რომელშიაც გამოთქმულია თანაგრძნობა ბურებისადმი და ამასთან იწვევენ პრეზიდენტს მოითხოვოს საშუამავლო სამართალი, ხოლო ნეიტრალიტეტის დაცვით. კოლუმბიის ელჩმა გადასცა ჰეის იმ პირობათა ოქმი, რომლებითაც კოლუმბია თანახმაა არხის გაყვანაზე.

ვარშავა. მრეწველობის და ვაჭრობის დამხმარებელი საზოგადოების ვარშავის განყოფილება არდგენს მოხსენებას უმაღლესს მთავრობისადმი, სამუშაო მიეცეთ მუშებს, რომლებიც უსაქმოდ დარჩნენ ფაბრიკების კრიზისის გამო.

მოსკოვი. დღეს იყიდებოდა მამონტოვის ქონება ბოსიაცკის ქალის საჩივრის გამო 100,000 მან. ანტოკოლსკის ჯგუფი „ქრისტე წინაშე პილატესი“ და სურათები ვიქტორ ვასნეცოვისა არ გაიყიდა. ვასნეცოვის სურათი „შესასვენებელ ადგილზე“ შეიძინეს იმპერატორის ალექსანდრე მესამის მუზეუმისათვის.

20 **მარტი.**

პეტერბურგი. „პრავიტელ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია წესდებათა სია, რომელნიც დამტკიცებულია შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან იანვარში და თებერვალში 1902 წლისა. კუნძულ ფორმოზაზე შავი ჭირია.

ლონდონი. სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ 17 მარტს ტრანსვალში რკინის გზაზე უბედურება მოხდა; მოკლულია 39 და დაჭრილია 45 სალდათი.

პრეტორია. მდინარეთა ადიდება ხელს უშლის სამხედრო საქმეებს.—ბეიერსი კვალად უძლიერესს მოღვაწეობას იჩენს ტრანსვაალის ჩრდილოეთით ნაწილში; ის გარს შემოერტყა ინგლისის სიმაგრეს, მაგრამ უკან დაიხია სიმაგრის განმათავისუფლებელთა მოსწრების გამო.

ოდესა. მაისის მეორე ნახევარში შესდგება ორი სახალხთა-შორისო კრება რკინის გზის მოღვაწეთა, რათა შეიმუშავონ კითხვები რუსეთ-გერმანია-ნიდერლანდიის და რუსეთის-გერმანია-ბელგიის-საფრანგეთის რკინის გზების შეერთების შესახებ.

როსტოვი. ელექტრონული ტრამვაის ვაგონი მესდგა ლიანდაგზე დადებულ კოლოფზე თოფის წამლით და რამდენიმე ფისტონით და მხოლოდ ერთ ფისტონს გადაუარა. თოფის ხმა მოისმა. საბედნიეროდ, წამალმა არ იფეთქა.

ოდესა. სამხრეთ-რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება შუამდგომლობს მევენახეთა და ღვინის მკეთებელთა კრების მოწვევას ოდესაში.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვას 1902 წ. 20,000 მან. ზარალი აქვს.

ხარკოვი. გზათა მინისტრის კანცელარიის დირექტორი ერმოლოვი, ინვალიდების სახლის საქმეების გამგე სკარჟინსკი ხარკოვის გუბერნატორ თავად ობოლენსკისთან ერთად წავიდნენ მაცხოვრის უდაბნოში რკინის გზას ინვალიდების სახლის დასათვალიერებლად.

მოსკოვი. მარშანმა დაათვალიერა კრემლის ყაზარმები და ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი.

ოდესა. ოდესელ ბოლგარელებმა გადასწყვიტეს იდღესასწაულონ 23 აპრილს ოცდა-ხუთი წლის შესრულება ბოლგართა აღორძინებისა და განმანთავისუფლებელი ომისა და ასის წლის შესრულება სლავიანთა მცოდნე ვენელინის დაბადებისა.

ოდესა. ერობა ხსნის მაზრის ხუთს უფრო მჭიდროდ დასახლებულს ადგილებში სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს გოგოლის სახელზე.

როსტოვი. ქალაქის სამმართველოს წარმომადგენლებმა დაათვალიერეს წყლის გასაყვანი სადგური. წყაროდან იმდენი წყალი აღარ მოდის, რამდენიც საჭიროა.

ბიისკი. მაზრის მმართველს ტუკმაჩევს მოუვიდა საიმპერატორო გეოგრაფიულ საზოგადოებისაგან მადლობა დიდი დახმარებისათვის, რომელიც იმან აღმოუჩინა ექსპედიციას ტელეცკის ტბის გამოკვლევის დროს.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 18 **მარტს**

ვექსილის კურსი 6 თვიდ:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,70	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96^5/_8$	გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	$98^3/_4$	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$469^1/_2$	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$364^3/_4$	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	$307^1/_2$	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$89^1/_8$	„
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) **ტფილისიდან ბათუმისაკენ:** 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) **ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე** 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის [illegible] ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღომს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

ზინ
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
ვერის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**
შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 **კაპ.**
ტელეფონი № 754. (წ.)

ორშაბათს, 25 მარტს, გაიხსნება ტფილისში, მადათოვის კუნძულზე,
ფ. ი. ფეცის დიდი მუზეუმი.
მუზეუმში 100-მდე სხვა-და-სხვა საგანია. მრავალი ახალი სანახავი! სცენაზე ბევრი ახალი სანახავია პარიზიდან: 1) დაფნა, დევნილი აპპოლონისაგან; 2) გალატეა, მარმარილოს პატარძალი და სხვა. მუზეუმი გახსნილია **ყოველდღე** დილის 10 საათიდან სალამოს 11-მდე; წარმოდგენების დასაწყისი ნაშუადღევის 2-დან. დაწვრილებით ის. აფიშებში. (20—2)

Дозволено цензурою Тифлисъ, 20 Марта 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის.